# ბუნება მკურნალია

*შაქრიანი დიაბეტის მკურნალობისას სისხლში შაქრის დონის დამწევ წამლებთან ერთად ფართოდ გამოიყენება მცენარეებიც: მაგალითად: ნევო, კრაზანა, დაფნის ფოთოლი, მრავალძარღვა, წითელი მოცვი, ჟოლო, შავი მოცხარის და მაყვლის ფოთლები, ჭინჭარი, მინდვრის შვიტა, ასკილის, ანწლისა და კუნელის ნაყოფი, ოროვანდისა და ბურბუშელას (ბაბუაწვერას) ფესვები, მიწავაშლა, კაკლის ულელი და ნორჩი ფოთლები, ვარდკაჭაჭა, არყის კვირტები და სხვ.*

*გთავაზობთ რეცეპტებს:* — 40 გ კაკლის ულელს დაასხით 0,5 ლ წყალი და ერთი საათი ადუღეთ ნელ ცეცხლზე. 1 ს/კ ნახარში მიიღეთ ყოველი ჭამის წინ და ჭამამდე 10-15 წუთით ადრე.

— მაისში მოკრეფილ 1 ს/კ წვრილად დაჭრილ **კაკლის ნორჩ ფოთლებს** დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, 1 წუთი ადუღეთ. გააცივეთ, გადაწურეთ. ნაყენი სვით მთელი დღის განმავლობაში თანაბარი ულუფებით.



ეს ნაყენი სასარგებლოა არა მარტო შაქრიანი დიაბეტის, არამედ ჩიყვის, ათეროსკლეროზის, კისტებისა და მაღალი არტერიული წნევის დროს.

— 1 ს/კ **შვრიის მარცვალს** (სასურველია, ჩენჩოიანად) დაასხით 1,5 ჭიქა მდუღარე წყალი და 15 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე. მიიღეთ დღის განმავლობაში 3-4-ჯერზე. ნახარში შეინახეთ მაცივარში.

— **დარიჩინი** არა მარტო არეგულირებს სისხლში შაქრის დონეს, არამედ ორგანიზმის ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალებაცაა. სამკურნალო მიზნით დარიჩინი შეგიძლიათ ჩაის დაამატოთ, დღეში ნახევარი ჩაის კოვზი დარიჩინი საკმარისია, სისხლში შაქრის დონის დასაწევად. მეცნიერული კვლევებით დამტკიცდა, რომ ეს სანელებელი აქვეითებს ცხიმებისა და „ცუდი“ ქოლესტერინის დონესაც, ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალებს, ხელს უშლის სისხლის შედედებას, ანტიბაქტერიული თვისებისაა.

— სისხლში შაქრის დონის მოსაწესრიგებლად და სისხლძარღვთა გასაწმენდად 20 ც მიხაკს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, თავზე დაახურეთ და გააჩერეთ ერთი ღამე. მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე. საღამოს ამ 20 მიხაკს დაამატეთ კიდევ 10 ც მიხაკი და ისევ გააჩერეთ ერთი ღამე თავდახურულ ჭურჭელში. მეორე დღეს იმავე რაოდენობით მიიღეთ. ამის შემდეგ მოამზადეთ ახალი ნაყენი. მკურნალობის კურსი 6 თვეა.

— 8-10 ც დაქუცმაცებული **დაფნის** ფოთოლი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი და ერთი ღამე გააჩერეთ, სვით 1/4 თბილი ნაყენი, 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე, მკურნალობის კურსი 3-6 თვეა.

— 40% ინულინს შეიცავს **ოროვანდის ფესვები,** რომელიც დიდ როლს ასრულებს როგორც შაქრიანი დიაბეტის, ასევე ნაღველკენჭოვანი და შარდკენჭოვანი დაავადებების მკურნალობაში, რეკომენდებულია რევმატიზმისა და გასტრიტის დროსაც.

— 20 გ ოროვანდის ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ 10 წუთი წყლის ორთქლზე. გააცივეთ, გადაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

— 1 ს/კ კოვზ **ბაბუაწვერას** დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, თავზე დაახურეთ და შეფუთული გააჩერეთ 2 საათი. გადაწურეთ და 1/3 ნაყენი სვით 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

— **პირშუშხას ფესვები** გახეხეთ და დაამატეთ მაწონს (1:10) მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამამდე 15 წუთით ადრე.

# ვუმკურნალოთ ჯიბლიბოს

*ქუთუთოების შეწითლებას, შეშუპებას და ტკივილს იწვევს ჯიბლიბო (ქუთუთოების კიდის ცხიმის ჯირკვლის მწვავე ჩირქოვანი ანთება), მას იწვევს ინფექცია — სტაფილოკოკის ჩირქმბადი ბაქტერიები. თუ იმუნიტეტი დასუსტებულია (გაცივებით, სტრესებით, გადატანილი დაავადებებითა და ვიტამინების ნაკლებობით), ინფექცია ძლიერდება და იწვევს ანთებას, ქუთუთოებზე ჩნდება სიწითლე, შესივება, ტკივილი, რამდენიმე დღის შემდეგ იზრდება და ჩნდება ყვითელი თავი — ჩირქგროვა.*

ჯიბლიბოზე დაიდეთ თბილი, სველი საფენები ან გაიკეთეთ ჩაის მაგარი ნაყენი, რომელსაც აქვს ანთებსაწინააღმდეგო თვისება. ანალოგიური თვისება აქვს გვირილის ყვავილის და ალოეს ფოთლების ნახარშს. ეს მცენარეები ანტისეპტიკურია, ხსნის სიწითლესა და ტკივილს.

სახლის პირობებში ჯიბლიბოს მკურნალობამ თუ შედეგი არ გამოიღო, მიმართეთ ექიმს, რომელიც დანიშნავს მკურნალობას (ანტიბიოტიკებს და სხვ.).

პროფილაქტიკის მიზნით, რადგან ჯიბლიბო ინფექციური დაავადებაა, რათა თვალში არ მოხვდეს ინფექცია, გირჩევთ: ნაკლებად შეეხეთ თვალებს ხელებით, იხმარეთ თქვენი პირსახოცი და ცხვირსახოცი; საღამოს აუცილებლად დაიბანეთ თვალები და, რაც მთავარია, აიმაღლეთ იმუნიტეტი, გამოიძინეთ, ბევრი ისეირნეთ ჰაერზე, ივარჯიშეთ, იკვებეთ სრულფასოვნად და უარი თქვით მავნე ჩვევებზე (ალკოჰოლი, სიგარეტი).

*გთავაზობთ ჯიბლიბოს მკურნალობის ხალხურ რეცეპტებს:*

1. ძალიან ფრთხილად წაისვით ჯიბლიბოზე ნივრის პატარა ნაჭერი, დღის განმავლობაში რამდენჯერმე ან ქუთუთოზე დაიდეთ მოხარშული თბილი კვერცხი.

2. გარეცხილი ალოეს ფოთლის წვენი გახსენით წყალში პროპორციით 1:10. ხსნარში დაასველეთ ბამბა და 20 წუთით დაიდეთ ჯიბლიბოზე 3-4-ჯერ დღეში.

3. შეურიეთ ერთმანეთს 5 ს/კ ნარგიზელას ყვავილი, 3 ს/კ იაჟუჟუნას ფოთლები, 2 ს/კ კოთხუჯის ფესვები და ძალიან ცოტა არყის ხის კვირტები. 3 ს/კ ნარევს დაასხით 1 ლ მდუღარე და 20 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე. გადმოდგით და 6 საათის შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

# იცით თუ არა, რომ...

...გრეიპფრუტი ებრძვის C ჰეპატიტს. ფლავონოიდი ნარინგინი, რომელსაც გრეიპფრუტი შეიცავს და მას მომწარო გემოს აძლევს, ხელს უშლის ორგანიზმში C ჰეპატიტის გამრავლებას. ტრადიციულ ვირუსსაწინააღმდეგო წამლებთან ერთად, დაავადების შემთხვევაში ამსუბუქებს მის მიმდინარეობას. ამერიკელ მეცნიერთა აზრით ნარინგინი ამცირებს სისხლში „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს, 80%-ით — ინფიცირებული უჯრედებიდან ვირუსის გამოყოფას და ჯანმრთელ უჯრედებში მის შეღწევას.

*ცნობისთვის:* ღვიძლის უკმარისობის შემთხვევაში უმჯობესია თავი შეიკავოთ გრეიპფრუტზე, და დიდი სიფრთხილე გამოიჩინოთ ზოგიერთი წამლის მიღების დროს.

...კომპიუტერთან დიდხანს მუშაობის დროს ძლიერ იძაბება და იღლება თვალები, რაც თავისთავად გადაეცემა თავის ტვინის სხვა სტრუქტურებს და ნეგატიურად აისახება ადამიანის გუნება-განწყობილებაზე, ფიზიკურ და გონებივ შესაძლებლობებზე: 90%-ით უქვეითდება მეხსიერების, ფიქრისა და ყურადღების კონცენტრირების უნარი, რაც იწვევს ნერვული სისტემის გადაღლასა და ორგანიზმის გამოფიტვას. თუმცა, ამ მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია, თუ კომპიუტერთან ახლოს დადებთ ლიმონის ნაჭერს ან ოთახში შროშანის სურნელი იქნება, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ 20%-ით ნაკლები შეცდომა მოგივათ.

...ნაყინი, რომელიც შეიცავს რძესა და ნაღებს მშვენიერი ანტისტრესია და ბუნებრივი ტრანკვილიზატორის — ამინომჟავა ტრიფტოფანის წყაროა, ეს ამინომჟავა ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ამაღლებს გუნება-განწყობილებას, აწესრიგებს ძილს. ასეთივე თვისება აქვს შოკოლადსაც.

...ადამიანის თვალს შეუძლია საშუალოდ 160 ფერის გარჩევა, მხატვარს კი, პროფესიიდან გამომდინარე — 10.000 ფერის.

დალტონიზმის ყველაზე იშვიათი ფორმის აქრომატოფსიით (ფერთა სრული სიბრმავით) შეპყრობილი ადამიანები არჩევენ მხოლოდ თეთრს, შავსა და ნაცრისფერს.

# პრეპარატ „კამელინით“ განკურნებული ონკოპაციენტები

*ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მიმდინარეობდა პრეპარატ „კამელინზე“ კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევები ცნობილ მეცნიერთა და ექიმთა ჯგუფის მხარდაჭერით, სადაც მტკიცდებოდა „კამელინის“ ანტისიმსივნური მოქმედება, დღესაც მრავალი ონკოპაციენტი იტარებს კამელინოთერაპიას. როგორია „კამელინის“ მოქმედება სიმსივნურ დაავადებასთან მიმართებაში? ფარმაცევტული კომპანია „კამელინის“ ექიმი* **თამარ ცერცვაძე:**




პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ „კამელინი“ 100%-ით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიულია, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას, აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას.

„კამელინის“ მოქმედება ინდივიდუალურია, იგი უპირობოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს, დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე, პრეპარატის გამოყენება შეიძლება როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელი ნაწილი, ასევე დამოუკიდებლად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ორგანიზმის იმუნური პასუხის ოპტიმიზაცია. სიმსივნეების დროს მკურნალობის პროცესში „კამელინის“ ჩართვა განაპირობებს სიცოცხლის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას. 23 ივნისს, ბათუმში, „შერატონ ბათუმი პალასში“ ჩატარდა რიგით მეოთხე, ამჯერად უკვე საერთაშორისო კონფერენცია „კამელინ 2012“. შთამბეჭდავი იყო ბათუმის ონკოლოგიური კლინიკის ონკოლოგის, მედიცინის დოქტორის, მემედ ჯინჭარაძის გამოსვლა როგორც კონფერენციაზე, ასევე მედიის წარმომადგენლებთან. მან ისაუბრა „კამელინ მ 1“-ის და „კამელინ მ 2“-ის გამოყენებით მიღებულ იმ შედეგებზე, რომელიც მიღწეულ იქნა სხვადასხვა სიმსივნის, უმძიმესი დიაგნოზის (მე-4 სტადიის) მქონე პაციენტებში. კერძოდ ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევებში დროებით მოხსნა, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება, მადის და ენერგიის მომატება, დეპრესიული ფონის მოხსნა, მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი.

**ვიაჩესლავ მაკაევი** — *პიატიგორსკიდან (აკადემიკოსი).* გასული წლის მარტში კომპიუტერული ტომოგრაფიით დაუდგინდა ხორხის სიმსივნის დიაგნოზი: — ხორხის ზედა და ხორხის წინა ცხიმოვანი უჯრედების პროექციაში აღენიშნება ცენტრისკენ მდებარე არასწორი მომრგვალო ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი, ზომით 25-30 მმ. პაციენტმა ჩაიტარა მკურნალობის კურსი, მაგრამ მდგომარეობა უფრო დამძიმდა. მას დაეწყო ყლაპვის პრობლემები. პაციენტი საქართველოში მცხოვრები ახლობლის საშუალებით გაეცნო „კამელინის“ კვლევებს და გადაწყვიტა ჩაეტარებინა მკურნალობა „კამელინი მ 1“ — ინიექციითა და „კამელინი მ 2“ — კაფსულებით. 20-დღიანი კურსის გავლის შემდეგ პაციენტს გაუკეთდა განმეორებითი ანალიზები, რომლის შედეგად სპეციალისტებმა შენიშნეს მკურნალობის დადებითი შედეგები, რაც გამოიხატებოდა სიმსივნური წარმონაქმნის ზომაში 15 %-ით შემცირებით. აქედან გამომდინარე, პაციენტმა გააგრძელა კამელინოთერაპიის კურსი. ამა წლის 27 იანვარს განმეორებითი ტომოგრაფიული კვლევით სიმსივნის სრული გაქრობა დაფიქსირდა.

სენსაციური შედეგი გახლდათ საყლაპავის სიმსივნის, საყლაპავის კარცენომის დიაგნოზის მქონე პაციენტის **თ.დ.**-ს შემთხვევაში. კომპიუტერული ტომოგრაფიითა და სისხლის ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე აღმოაჩნდა მეტასტაზები ლავიწის ზედა არესა და კისრის მიდამოში. სხივური და ქიმიოთერაპიის კომბინაცია უეფექტო აღმოჩნდა, გადაწყდა გერმანიაში ქირურგიული ოპერაცია, სწორედ ამ დროს პაციენტმა ახლობლის რჩევით გადაწყვიტა კამელინოთერაპიის ჩატარება. ზედიზედ ჩატარდა 6 კურსი, მოხდა გამაოგნებელი რამ, მეტასტაზები ზომაში მეორე კურსიდანვე შემცირდა, საბოლოოდ კი სრულიად ალაგდა, პაციენტი მეორე წელია სრულიად ჯანმრთელია, შრომისუნარიანი, მხოლოდ პროფილაქტიკური მიზნით იღებს „კამელინ მ 2“-ის კაფსულებს.

პაციენტი **ნ.ქ**-ს — 4 წლის წინ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი, ორჯერ ჩაიტარა ქიმიოთერაპია, გასცვივდა თმები, იღებდა უამრავ ტკივილგამაყუჩებელს, დაეცა ლეიკოციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა. დაიწყო „კამელინ მ 1“ ინიექციით და „კამელინ მ 2“ ამპულებით მკურნალობა. ტკივილები პირველი კურსიდანვე მოეხსნა, მოემატა ენერგია, თანდათან გაუუმჯობესდა საერთო მდგომარეობა, ამიტომ გადაწყდა გაეგრძელებინა მკურნალობა. მეორე კურსიდან შედეგები თვალში საცემი გახდა, კერძოდ, ტკივილების სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის მოცულობაში შემცირება, მკერდის დვრილის წინ წამოწევა, დარბილება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. დღეს მხოლოდ პროფილაქტიკური თვალსაზრისით იტარებს კამელინოთერაპიას.

პაციენტი **ქ. ა**-ს საბერძნეთიდან, დაახლოებით 4 წლის წინ აღმოაჩნდა მკერდის სიმსივნე, მრავალი პრეპარატით მკურნალობდა. ახლობელმა შეატყობინა საქართველოში წარმოებულ, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ პრეპარატ „კამელინის“ თაობაზე. რა თქმა უნდა, ასე ხელაღებით ვერ გაბედა მისი გამოყენება. მოიძია კომპანიის ვებგვერდის — www.camelyn.ge საშუალებით ინფორმაცია „კამელინზე“ ჩატარებულ კვლევებზე და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მისი მიღება. შედეგი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ. დღეს პაციენტი სრულიად ჯანმრთელი და შრომისუნარიანია.

6 წლის წინ პაციენტ **ლ. ხ**-ს (მედიცინის მუშაკი) ბათუმიდან, დაეწყო წონის საგრძნობი კლება, ხშირი ხველა, რენტგენოგრაფიული გამოკვლევით დაუდგინდა მარჯვენა ფილტვის ქვემო წილში მეტასტაზური კერა. ყველას გასაკვირად მან უარი თქვა კონსერვატიულ მკურნალობაზე და გადაწყვიტა კამელინითერაპიის ჩატარება. პაციენტი კოლეგებს არ უმხელდა, თუ რით მკურნალობდა. მკურნალობის პირველი კურსიდანვე დაიწყო წონაში მომატება, სიმპტომებიც თანდათან ალაგდა, ორი თვის შემდეგ ხელახალი რენტგენოგრაფიით მეტასტაზული კერა აღარ დაფიქსირდა, ის ჩრდილი, რომელიც საკმაოდ დიდ უბანზე იყო, სრულიად გაიწმინდა.

**ეთერ მინდიაშვილს** (68 წლის) 5 წლის წინ დაუსვეს მარჯვენა ყურში სწრაფი სარკომის დიაგნოზი, ემლემის დაშლა. სხივურმა თერაპიამ შედეგი არ გამოიღო. პაციენტმა დაიწყო „კამელინ მ 1“-ის გამოყენება, მე-3 დღიდან სითხის მოდინებამ ყურიდან შემცირება დაიწყო, მე-2 კურსის დაწყებიდან კი საერთოდ შეწყდა, მე-3 კურსის შემდეგ კი (ტყემლისოდენა) სიმაგრეც მთლიანად ალაგდა. დღეს პაციენტი არაფერს უჩივის, მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით წელიწადში ერთხელ იტარებს კამელინოთერაპიის კურსს, არის შრომისუნარიანი.

***მოამზადა მაია ცომაიამ***

P.S. ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინ მ 1“ ინიექცია, „კამელინ მ 2“ კაფსულა, „კამელინ მ 3“ მალამო, „კამელინ მ 4“ სანთლები და „კამელინფლუ“ გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, უროლოგიური, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული და სხვა დაავადებების დროს.

***„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33;*** www. camelyn.ge

R